

ვიტალი კალოევს რვა წლით პატიმრობა მიუსაჯეს

A5



სანიმუშოდ აქტიური საზოგადოება

A7



ნინო კირთაძის ევროპული აღიარება

A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 28 ოქტომბერი, 2005 წელი. №239 (1099)

ფასი 50 თეთრი

## ამბები

### ახალი კოდექსის ახალი პრობლემები

გუშინ პარლამენტის საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტმა ახალი საგადასახადო კოდექსის შესახებ იმსჯელა. საუბარი რამდენიმე პრობლემის მოგვარების აუცილებლობას შეეხო, რომელთა მოგვარებაზეც ახალი კოდექსის ეფექტურობა მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული.

A2

## ამბები

### ნიდერლანდები საქართველოს ეროვნულ ბანკს ფინანსურ-ტექნიკურ და მეთოდოლოგიურ დახმარებას გაუწევს

საქართველოს ეროვნული ბანკი ნაღდი ფულის სალაროსა და ფასეულობის საცავის განთავსებას ქალაქგარეთ, სპეციალური ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილ შენობაში გეგმავს.

A3

## უცხოეთი

### გაერო სირიის წინააღმდეგ ეკონომიკურთან ერთად პოლიტიკურ სანქციათა დაწესებასაც გეგმავს

გაერო-ში ბოლო დღეებში მიმდინარე მოვლენებით შეძრწუნებულმა სირიის ხელისუფლებამ დახმარების თხოვნით მიმართა თავის მოკავშირე რუსეთს. სირიის პრეზიდენტს ბაშარ ასადსა და მის რუს კოლეგას ვლადიმირ პუტინს შორის სამშაბათს გვიან საღამოს გამართულმა სატელეფონო საუბარმა შედეგი გამოიღო.

A4

## სამართალი

### საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარეს ბრალდებებს უყენებენ

ბადრი ბიწაძემ კენჭოშვილის წინააღმდეგ ბრძოლა თბილისის ყოფილი პროკურორის ვალერი გრიგალაშვილის საშუალებით, მისივე ბიძაშვილის ჯონი კაპანაძის სასარგებლოდ დაიწყო.

A5

## ამინდი

| | 28/10 | 29/10 |
|---|---|---|
| თბილისი | 15 | 8 |
| ტყიბული | 14 | 11 |
| სოხუმი | 15 | 11 |
| გორი | 10 | 5 |
| ონი | 8 | 2 |
| ზუგდიდი | 16 | 14 |
| ახმეტა | 14 | 8 |
| სამტრედია | 16 | 12 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7950 |
| ევრო | 2.1685 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.1915 |
| რუბლი | 0.0631 |

| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| უცხოეთი | A 4 |
| სამართალი | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |

# ზურაბ ნოღაიდელმა ვენაში პრეზიდენტის სამშვიდობო გეგმა გამოაქვეყნა

## გეგმას მხარი დაუჭირა უკლებლივ ყველამ - რუსეთის გარდა

ნიკა ლაღიძე
*ვენიდან*

საქართველოს პრემიერ-მინისტრი წუხელ ეუთო-ს მუდმივმოქმედი საბჭოს სხდომაზე გამოვიდა. ზურაბ ნოღაიდელმა, 50-მდე ელჩის თანდასწრებით, ოფიციალურად გამოაქვეყნა სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის დეტალიზებული გეგმა.

გეგმა ითვალისწინებს:

**საერთაშორისო ძალისხმევის გააქტიურებას და ამ მიზნით ერთობლივ საკონტროლო კომისიაში ეუთო-ს, ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივ წევრად შეყვანას;**

გაგრძელება A2 გვერდზე




*საქართველოს პრემიერ-მინისტრი ეუთო-ს მუდმივმოქმედი საბჭოს სხდომაზე.*

# ვარდის სახელი ანუ გემოვნების აბსტრაქტული სურვილი:

## ინტერვიუ გიგა ბოკერიასთან

ნოდარ ლადარია

*- რატომ დაარქვა უმბერტო ეკომ თავის რომანს "ვარდის სახელი"? – მკითხა გიგა ბოკერიამ ინტერვიუს დაწყებამდე. ვუპასუხე, რომ ავტორის განზრახვა შემდეგი იყო: იგი ეძებდა სათაურს, რომელიც არაფერს მიანიშნებდა რომანის შინაარსზე. ახალი ქართული რომანი ვარდების რევოლუციით დაიწყო. იქნებ ამ სათაურსაც არ ან აღარა აქვს არაფერი საერთო იმ შინაარსთან, რომელსაც დღეს ყოველდღე ვაწყდებით? სწორედ ამის გარკვევას ისახავს მიზნად წინამდებარე ინტერვიუ.*

გაგრძელება A3 გვერდზე



*გიგა ბოკერიასთვის ამოსავალი წერტილი პიროვნება და მისი თავისუფლებაა.*

# გლობალიზაციის გამოწვევები - სამიტი ჰემპტონ ქორთში

ხათუნა გაბიევი

ლონდონის მახლობლად, ჰემპტონ ქორთის სასახლეში, ხუთშაბათს ევროკავშირის ლიდერთა სამიტი გაიმართა. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ინიციატივით გამართულ არაფორმალურ სამიტზე მსჯელობის უმთავრესი საგანი გლობალიზაციის იმ გამოწვევების განხილვა იყო, რომლებმაც ერთიანი ევროპული სივრცის მოქალაქეების ეკონომიკურ კეთილდღეობას შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას.

გაგრძელება A4 გვერდზე



*ევროკავშირის ლიდერთა სამიტი ჰემპტონ ქორთში.*

# ავარიული ბინები და „კასკიანი" მძღოლები

თამარ დვალი

თბილისის ცენტრალურ უბნებში სატრანსპორტო სქემის შეცვლამ სამარშრუტო ტაქსების მძღოლების პროტესტი გამოიწვია. მას შემდეგ, რაც რუსთაველზე სამარშრუტო ტაქსების მოძრაობა აიკრძალა, მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა, გამონაკლისის სახით, ექვსი ხაზის მფლობელს ნებართვა დართო, თაბუკაშვილის ქუჩით გადაადგილებულიყვნენ.

ამ ქუჩის მცხოვრებლებმა სავალი გზა რამდენჯერმე გადაკეტეს. უკვე სამი კვირაა, რაც ამ მიმართულებით მოძრაობა შეფერხებულია. მძღოლებმა გუშინ ბარიკადების შტურმით აღება სცადეს, რასაც მოსახლეობასთან დაპირისპირება მოჰყვა. მძღოლების განცხადებით, გარდა იმისა, რომ მოსახლეობა მათ გზას უკეტავს, ქვებსაც ესვრის.

**"მერიამ ნება დაგვრთო, რუსთაველის პარალელური ქუჩით გვემოძრავა. თავისუფლების მოედნიდან, თაბუკაშვილის ქუჩის გავლით, ელბაქიძის დაღმართზე ჩავდივართ და შემდეგ სანაპიროთი ვბრუნდებით უკან. სხვა გასავლელი გზა არ გვაქვს. ჩვენი მოძრაობით სახლებს ზიანი არ ადგება, რადგან ცალმხრივად ვმოძრაობთ. მოსახლეობამ სახლების შეკეთება და აღდგენა ჩვენს ხარჯზე მოინდომა. ჩვენთვის გზის გადაკეტვით ცდილობენ, მერიას ხმა მიაწვდინონ. ამ ტერიტორიას საპატრულო პოლიცია იცავს და ექვსი სამარშრუტო ხაზის გარდა, არავის ატარებს. თავიდან მართლაც შემოიჭრნენ სხვა "მარშრუტკები", მაგრამ ახლა სიტუაცია დარეგულირდა. მერია შეუთანხმდა მოსახლეობას, რომ გამოიყოფა კომისია, რომელიც ამ ტერიტორიას შეისწავლის. ეს არის ჩვენი გზა და თუკი ვიღაცეებს სახლები ენგრევათ, მერიას მიაკითხონ, ამისთვის ჩვენ ნუ გამოგვიყენებენ,"** – განაცხადა სამარშრუტო ტაქსის მძღოლმა თამაზ კაჭკაჭურმა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ირაკლი ოქრუაშვილმა "სავალდებულო საპარლამენტო სამსახური" მოიხადა

*ოპოზიციამ დიდი ხნის გულისწადილი აისრულა, - თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი "აიძულა", საპარლამენტო ტრიბუნასთან დაეკავებინა ადგილი. როგორც გუშინდელმა სამთავრობო საათმა აჩვენა, პროსახელისუფლებო ფრაქციების "შიში" ამაოა და უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მინისტრის მისვლა ამ უკანასკნელისთვის დამამცირებელ პროცედურას სულაც არ წარმოადგენს. ამასთან, თუ მთავრობის წევრი კომპეტენტური და კორექტულია, კითხვებს არ გაურბის და მათზე ამომწურავად პასუხობს, ასეთ შემთხვევაში ოპოზიციის მხრიდან სკანდალის მოწყობა და თვითმიზნური ხმაურის ატეხვა, პრაქტიკულად, გამორიცხულია.*

გიორგი ასანიშვილი

ირაკლი ოქრუაშვილის პარლამენტში მისვლით უმრავლესობაც მოგებული დარჩა. იგი ნიშნს უგებს ოპოზიციას და თავს იწონებს: შეხედეთ, რა მაგრები ვართ, მარტო ოქრუაშვილს კი არა, რომელ მინისტრსაც გინდათ, იმას მოვიყვანთ პარლამენტშიო.

ოპოზიცია "შეთავაზებას" სიამოვნებით იღებს და ითხოვს, რომ თავდაცვის მინისტრის შემდეგ, საკანონმდებლო ორგანოში შინაგან საქმეთა მინისტრი გამოცხადდეს. პარლამენტის ხელმძღვანელობა უკან არ იხევს და აცხადებს, რომ მომავალ სამთავრობო საათზე ოპოზიციას უკვე ვანო მერაბიშვილის "გამასპინძლების" საშუალება ექნება.

რაც შეეხება პარლამენტის გუშინდელ სტუმარს, იგი თითქმის ორი საათის განმავლობაში პასუხობდა დეპუტატების შეკითხვებს. ირაკლი ოქრუაშვილი უამრავ თემას შეეხო, რომელთაგან, თავისი პოლიტიკური მნიშვნელობით, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია 20 სექტემბერს ცხინვალის დაბომბვის ფაქტი, რომელსაც, თავის დროზე, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტიც გამოეხმაურა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# რუსული ენერგოიმპერია "ხუდონჰესის" პროექტითაც დაინტერესდა

*გუშინ თბილისში დსთ-ს ქვეყნების მთავარი ენერგეტიკოსები ენერგეტიკული საბჭოს სხდომაზე შეიკრიბნენ. ნიშანდობლივია, რომ ენერგეტიკული საბჭოს სხდომა თბილისში სწორედ საქართველოში მოსალოდნელი დიდი ენერგოპრივატიზაციის წინ გაიმართა. "რაო ეეს როსიის" თავკაცის ანატოლი ჩუბაისის მორიგი თბილისური ვოიაჟიც, ტრადიციულად, გემრიელი "ენერგოლუკმის" – სადისტრიბუციო კომპანიებისა და ჰიდროელექტროსადგურების გასხვისებას უსწრებდა წინ. შეგახსენებთ, რომ უკანასკნელად რუსეთის ელექტროენერგეტიკული სექტორის ლიბერალი რეფორმატორი ანატოლი ჩუბაისი თბილისს "თელასის" ყიდვის შემდეგ ეწვია. ახლაც, ისევე როგორც ადრე, "რაოს" თავკაცი საქართველოში პრეზიდენტსაც შეხვდა, ოღონდ – დახურულ კარს მიღმა.*

მაია ურუშაძე

საქართველოში დაგეგმილ პრივატიზაციაში "რაოს" რომ საკუთარი ინტერესები აქვს, ეს რუსული ენერგოგიგანტის მაღალჩინოსნებს არ დაუმალავთ. ისინი ღიად აცხადებენ, რომ "საქართველოსთან "სრულფასოვან" თანამშრომლობას აპირებენ" და კონკურსზე გასაყიდად გამოტანილი ნებისმიერი ენერგოობიექტის შესყიდვას შეეცდებიან. აინტერესებთ "თბილსრესის" მეათე ბლოკის აღდგენაც და "ხუდონჰესის" ინვესტირებაც.

სანაცვლოდ, "რაო" თბილისს ზამთარში შეუფერხებელ ელექტრომომარაგებას და საქართველოს - დსთ-ს ერთიან ენერგეტიკულ ბაზარში გაწევრიანებას ჰპირდება... ოღონდ, მომავალში და იმ შემთხვევაში, თუ საქართველო "კეთილსაიმედო" პარტნიორი იქნება. ის, თუ რას ნიშნავს ეს კეთილსაიმედო პარტნიორობა, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს: საქართველომ დავალიანებები უნდა იხადოს, დენის ტარიფზე არ იჭიდაოს, საინვესტიციო თუ სატრანზიტო პროექტების განხორციელებაში "რაოს" ხელი არ შეუშალოს და, რაც მთავარია, მთავარ ენერგეტიკულ პარტნიორს პირი არ გაუტეხოს.

გაგრძელება A2 გვერდზე

## "მილენიუმის გამოწვევის" პროგრამის რატიფიცირებას პარლამენტი მიმდინარე კვირაში გეგმავს

პარასკევს, 28 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის 295 მილიონ 300 ათასი აშშ დოლარის ღირებულების პაკეტის რატიფიცირება უნდა მოახდინოს. **"რატიფიკაციის შემდგომ უნდა გაფორმდეს რამდენიმე საორგანიზაციო ხასიათის ხელშეკრულება აშშ ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციასა და "ფონდ-ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს" შორის. ზემოხსენებული პროცედურული სამუშაოების შესრულების შემდეგ საქართველო პროგრამის პირველი ტრანშით გათვალისწინებულ დაფინანსებას მიიღებს,"** – აცხადებენ "მილენიუმის" პროგრამის საქართველოს ოფისში. აქვე ვარაუდობენ, რომ პროგრამის ფარგლებში პირველი გადმორიცხვა მიმდინარე წლის ბოლომდე მოესწრება. შემდგომი გადმორიცხვები კი ყოველკვარტლურად, წინასწარ შეთანხმებული წლიური ბიუჯეტის ფარგლებში უნდა განხორციელდეს.

*24 საათი*

## ახალი კოდექსის ახალი პრობლემები

*გუშინ პარლამენტის საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტმა ახალი საგადასახადო კოდექსის შესახებ იმსჯელა. საუბარი რამდენიმე პრობლემის მოგვარების აუცილებლობას შეეხო, რომელთა მოგვარებაზეც ახალი კოდექსის ეფექტურობა მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული.*

კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი კოვზანაძის განცხადებით, დღეისათვის საკანონმდებლო ორგანოში დღგ-ს გადახდის მექანიზმებთან დაკავშირებით 50-მდე ორგანიზაციის 100-ზე მეტი შენიშვნაა წარმოდგენილი. რამდენიმე "შენიშვნა" გუშინვე, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე აშშ-ს სავაჭრო პალატის პრეზიდენტმა ფადი ასლიმ გამოთქვა. "საქართველოში "ბიზნესი შეშინებულია", რაზეც საერთაშორისო საზოგადოება თვალს ხუჭავს," – ასეთი იყო მისი პოზიცია. მისი თქმით, საგადასახადო ინსპექცია მასზე დაკისრებულ ფუნქციას ღირსეულად არ ასრულებს და ცდილობს, მეწარმეებს იმაზე მეტი გადასახადი გადაახდევინოს, ვიდრე ეს მათ ვალდებულებით აკისრიათ. ასევე, ფადი ასლის თქმით, "ბიზნესი უნდობლობას უცხადებს საქართველოს სასამართლო სისტემასაც, რადგან მიაჩნია, რომ მასზე ხელისუფლება ზეწოლას ახორციელებს."

რაც შეეხება კოდექსის ეფექტურობას, კომიტეტის თავმჯდომარის განმარტებით, ამ საკითხის შესასწავლად სპეციალური მუშა ჯგუფი შეიქმნება, რომელიც კომიტეტში შესულ ბიზნესმენთა შენიშვნებს გადაამუშავებს და მიმდინარე წლის ბოლომდე მოქმედ საგადასახადო კოდექსში ცვლილებების პროექტს მოამზადებს.

კოდექსში ცვლილებებს არც ფინანსთა მინისტრი გამორიცხავს. ლექსო ალექსიშვილის განცხადებით, მოქმედი კოდექსის მუშაობამ აჩვენა, რომ გარკვეული ნორმები დასახვეწია. ნოემბერში სამინისტრო ამ მიზნით საკუთარ კანონპროექტსაც წარმოადგენს. მინისტრის განმარტებით, ცვლილებები შევა საშემოსავლო, მოგებისა და დღგ-ს გადასახადების გადახდის მექანიზმებსა და ფორმებში. ორ კვირაში ცვლილებების პროექტის მოსამზადებლად მზადაა საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციაც. ამის თაობაზე ფედერაციის პრეზიდენტმა გიორგი ისაკაძემ განაცხადა.

საგადასახადო კოდექსში შესატან ცვლილებებზე საუბრისას, ფინანსთა მინისტრი ალექსი ალექსიშვილი აქციზის გადასახადის შემცირებაზე საუბარს ნაადრევად მიიჩნევს. მისი თქმით, ალექსიშვილის განცხადებით, ის ადმინისტრაციული რესურსი, რომლითაც აღნიშნული გადასახადის ამოღება ხდება, ჯერ არ ამოწურულა.

თუმცა, მინისტრი აცხადებს, რომ გამორიცხული არ არის, ფინანსთა სამინისტრომ პარლამენტში შეიტანოს წინადადება, რომლითაც საავტომობილე ბუნებრივი აირის მიწოდება აქციზით დაიბეგრება. შედეგად, ბუნებრივი აირი, რომელიც ავტომობილების საწვავად გამოიყენება, შესაძლოა, გაძვირდეს.

სადაზღვევო შენატანების დაბეგვრისგან გათავისუფლება მოითხოვა პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ გიგი წერეთელმა. მისი თქმით, საქართველოში სადაზღვევო ბიზნესის განვითარებისთვის აუცილებელია, საგადასახადო კოდექსში სადაზღვევო შენატანები დაბეგვრისგან გათავისუფლდეს, ხოლო დამსაქმებლებს ჰქონდეთ შეღავათები, როცა ისინი თანამშრომლებს დააზღვევენ.

სხვათა შორის, ერთ-ერთი საკითხი, რომელზეც გუშინ კომიტეტში მსჯელობდნენ, საქართველოს პარლამენტმა გუშინვე "გადაწყვიტა": "სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე მომზადებულ პროექტს პირველი მოსმენით კენჭი უყარა და 109 ხმით ერთის წინააღმდეგ მიიღო. შედეგად, სათამაშო ბიზნესის სფეროში სანებართვო მოსაკრებლის განაკვეთი გაორმაგდება.

*24 საათი*

## ახალქალაქში სარესურსო ცენტრი გაიხსნა

25 ოქტომბერს ახალქალაქში ჯავახეთის მოქალაქეთა ფორუმისა და უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის (ECMI) მიერ სარესურსო ცენტრი გაიხსნა. ცენტრი სამოქალაქო საზოგადოების ადგილობრივ წარმომადგენლებს საშუალებას მისცემს, მიიღონ და გაავრცელონ ინფორმაცია რეგიონში საინფორმაციო ვაკუუმის შემცირებისა და ჯავახეთის სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით.

აგვისტოს თვეში უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის დახმარებით ჯავახეთის მოქალაქეთა ფორუმი (ჯმფ) დაარსდა, რომლის მიზანი ახალი შესაძლებლობების უზრუნველყოფაა რეგიონში ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის საკონსულტაციო პროცესის გაძლიერებისთვის. ეს არის ერთობლივი რეგიონული სამუშაო ბაზა, სადაც ნინოწმინდასა და ახალქალაქის მოსახლეობას საშუალება ექნება, გამოხატონ თავიანთი აზრი, შეიმუშაონ პოლიტიკური რეკომენდაციები და შეადგინონ პროექტები რეგიონის კეთილდღეობისათვის. ჯმფ ცდილობს, შესძლებისდაგვარად ჩართოს რეგიონის მოსახლეობის ყველა ფენა და ღიაა ყველა მოქალაქისათვის, მათი ეთნიკური და რელიგიური კუთვნილების, სოციალური მდგომარეობის, სქესისა და ასაკის მიუხედავად. ჯმფ-ს შემადგენლობაში შედიან სამუშაო ჯგუფები, რომლებიც რეგიონის ისეთ მწვავე პრობლემებზე მუშაობენ, როგორიც არის თვითმმართველობა, ადამიანის უფლებები, სოფლის მეურნეობა, განათლება, ენის საკითხები, ინფრასტრუქტურა და ა.შ.

სარესურსო ცენტრი ბიბლიოთეკის მეშვეობით მიაწოდებს მოსახლეობას მასალებს საქართველოს კანონმდებლობაზე, აგრეთვე, სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებს და კონვენციებს ადამიანისა და უმცირესობების უფლებებზე როგორც ქართულ, ასევე რუსულ ენაზე.

სარესურსო ცენტრში ჯმფ-ს წევრები კომპიუტერებზე და ინტერნეტში მუშაობას შეისწავლიან, რაც პროექტების შედგენასა და განხორციელებაში დაეხმარება. დაგეგმილია ტრენინგები პროექტების ადმინისტრირების საკითხში, სადაც მონაწილეები ისწავლიან საპროექტო წინადადებების შედგენას, გრანტების ადმინისტრირებას, ფინანსების მართვასა და ა.შ.

*24 საათი*

## აჭარაში პრივატიზაციის პროცესი გრძელდება

აჭარის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრო ბობოყვათში მდებარე, მეცნიერებათა შემოქმედებით სახლს ყიდის. აბაშიძის ქუჩაზე მდებარე საპრივატიზაციო ობიექტის საერთო ფართი 11 895,6 კვადრატული მეტრია, ხოლო მასზე დამაგრებული მიწის ფართობი კი - 50 ათასი კვადრატული მეტრი. დაუმთავრებელი შენობის საწყისი ფასი 600 ათასი აშშ დოლარია. ობიექტი კონკურსის წესით გაიყიდება. საკონკურსო პირობების მიხედვით, მომავალმა მეპატრონემ გამოსასყიდი თანხა ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთ თვეში უნდა დაფაროს, ხოლო 18 თვეში თანამედროვე ტიპის სასტუმრო კომპლექსის დაპროექტება და ექსპლუატაციაში შეყვანა უზრუნველყოს. ამ მიზნით კი, მყიდველმა არანაკლებ 4 მილიონი დოლარის ინვესტიცია უნდა განახორციელოს. აჭარის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრო, აგრეთვე, მოითხოვს, რომ გენერალური მოიჯარადრის ფუნქცია ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგისტრირებულმა სამშენებლო ორგანიზაციამ იტვირთოს. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად განცხადებების მიღება 28 ოქტომბრიდან დაიწყება და ერთი თვეს გაგრძელდება. კონკურსი 29 ნოემბერს ბათუმში შედგება.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## ზურაბ ნოღაიდელმა ვენაში პრეზიდენტის სამშვიდობო გეგმა გამოაქვეყნა

პირველი გვერდიდან

**პირდაპირ კონტაქტებს მხარეებს შორის, ქართულ-ოსურ დიალოგს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მოსახლეობის დონეზე;**

**კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაციას;**

**ეკონომიკურ რეაბილიტაციას;**

**მოლაპარაკებას სამხრეთ ოსეთის სტატუსზე ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში;**

**კონფლიქტის პოლიტიკური გადაწყვეტის პარალელურად, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე თავისუფალი ეკონომიკური ზონის შესაძლო დაფუძნებას;**

**1991 წლის შემდეგ დაგროვილი საპენსიო დავალიანების სრულად დაფარვას;**

**რესტიტუციის შესახებ კანონის მიღებას;**

**სამხრეთ ოსეთის მაცხოვრებლებისათვის საქართველოს მოქალაქეთა პასპორტებისა და პირადობის დამადასტურებელი ყველა მოწმობის შეუფერხებლად დარიგებას;**

**1991-1992 წლებში, ორივე მხრიდან ჩადენილი დანაშაულების გამოძიებას;**

**ოსური კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შესწავლისათვის საგანგებო კანონების მიღებას და შესაბამისი ინსტიტუტების შექმნას.**

ზურაბ ნოღაიდელის გამოსვლის დედააზრი იყო, რომ დაუშვებელია სტატუს-კვოს შენარჩუნება, რაც საფრთხეს უქმნის სტაბილურობას მთელ რეგიონში.

საქართველოს პრემიერ-მინისტრისა მიერ გამოქვეყნებულ პრეზიდენტის სამშვიდობო გეგმას მხარი დაუჭირა უკლებლივ ყველა გამომსვლელმა, რუსეთის გარდა.

ამერიკის ელჩმა აღნიშნა, რომ მისი ქვეყანა მზად არის, ჩაერთოს ერთობლივი საკონტროლო კომისიის მუშაობაში. დიდი ბრიტანეთის ელჩმა, რომელიც ევროკავშირის სახელით საუბრობდა, მხარი დაუჭირა გეგმას და გამოთქვა იმედი, რომ რუსეთი შეასრულებს თავის ვალდებულებებს საქართველოდან ჯარების გაყვანის თაობაზე 2008 წლის ბოლომდე.

სომხეთის ელჩის თქმით, სომხეთი მხარს უჭერს საქართველოში სტაბილურობას, ვინაიდან, როცა საქართველოში აცემინებენ, ჩვენც სურდო გვემართებაო.

რუსეთის ელჩმა კატეგორიულად გაილაშქრა სამშვიდობო პროცესში ამერიკისა და ევროკავშირის ჩართვის წინააღმდეგ. მისი თქმით, "კონფლიქტის ზონაში მხოლოდ ის სამხედრო ფორმირებები უნდა განიარაღდნენ, რომლებიც საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებას არ ემორჩილებიან", ანუ იგულისხმება, რომ სამხრეთ ოსეთის ე. წ. "თავდაცვის სამინისტრო" სრულიად კანონიერია და მისი ფორმირებები განიარაღებას არ ექვემდებარება.

რუსეთის ელჩმა განაცხადა, რომ ნებისმიერი სამშვიდობო გეგმა მხოლოდ მაშინ იქნება ქმედითი, თუკი მას სამხრეთ ოსეთიც დაეთანხმება.

რუსეთის ელჩის თქმით, "მაგიური ფორმატები" არ არსებობს. რუსეთის ელჩმა გაკვირვება გამოთქვა იმის გამო, თუ რატომ უწოდებს ქართული მხარე "არაეფექტურს" ერთობლივი საკონტროლო კომისიის მუშაობას, თუკი საქართველოს ოფიციალური წარმომადგენელი გიორგი ხაინდრავა აქტიურად მონაწილეობდა ერთობლივი კომისიის ბოლო სხდომაში, რომელიც ახლახან მოსკოვში გაიმართა და, რუსეთის ელჩის თქმით, მასზე, საქართველოს წარმომადგენლის მონაწილეობით, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებიც იქნა მიღებული. რატომ თვლიან ქართველი კოლეგები ამ კომისიას არაეფექტურად, თუკი აგრძელებენ მასში მუშაობას და მოსკოვის სხდომაშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს?

რუსეთის ელჩმა განსაკუთრებული ადგილი დაუთმო ცხინვალის ამასწინანდელ დაბომბვას და გამოძიების სასწრაფო დასრულება, აგრეთვე დამნაშავეთა ერთობლივი დასჯა მოითხოვა.

ყაზახეთის ელჩმა ერთმნიშვნელოვანი მხარდაჭერა გამოთქვა, რაშიც გადამწყვეტ როლს პრეზიდენტების ურთიერთობა ასრულებს.

სამწუხაროდ, რუსეთს კვლავინდებურად აქვს ვეტოს უფლება ეუთოში, რაც მას საშუალებას აძლევს, საქართველოს კონსტრუქციული წინადადებები შეაფერხოს, მაგრამ ვენაში ამჯერად რაიმე რეზოლუციის მიღება არც იყო დაგეგმილი. რეზოლუციისათვის ბრძოლა გაიმართება ეუთო-ს უმაღლესი დონის მომავალ სამიტზე, რომელიც რამდენიმე თვეში შედგება.

ზურაბ ნოღაიდელი ეუთო-ს საბჭოს სხდომის შემდეგ შეხვდა ეუთო-ს გენერალურ მდივანს მარკ პერინ დე ბრიშამბოს, რომელმაც სრული მხარდაჭერა გამოთქვა პრეზიდენტ სააკაშვილის სამშვიდობო გეგმისადმი. ზურაბ ნოღაიდელმა დასკვნით სიტყვაში მკაცრად უპასუხა რუსეთის წარმომადგენელს, რომ სტატუს-კვოს შენარჩუნება სამხრეთ ოსეთში არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთლიანად სამხრეთ კავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის უშიშროებას აყენებს ეჭვქვეშ.

## რუსული ენერგოიმპერია "ხუდონჰესის" პროექტითაც დაინტერესდა

პირველი გვერდიდან

ამ შემთხვევაში მთავრობას შანსი ექნება, თბილისის ელექტრომომარაგებაზე ბევრი აღარ ინერვიულოს, რადგან ენერგეტიკული სტაბილურობა გარანტირებული იქნება: "კავკასიონი" აღდგენილია, მალე საქართველო-სომხეთის დამაკავშირებელი "გარდაბანი-რაზდანიც" აშენდება და საქართველო ზამთარში დენს ირანიდანაც (სომხეთის გავლით) მიიღებს.

ერთი სიტყვით, გუშინ ყველა ის საკითხი, რომელიც საქართველოს ენერგომომარაგებას და "რაოს" კავკასიურ ენერგოინტერესებს უკავშირდებოდა, საბოლოოდ შეჯერდა. საქართველოში საინვესტიციო და სატრანზიტო პროექტებით "რაო ეეს როსიის" დაინტერესების თაობაზე ადრეც არაერთხელ ითქვა. პროგნოზები ზუსტია: რუსეთი დსთ-ს სივრცეში ენერგეტიკულ ალიანსს აყალიბებს – ერთიანი ბაზრით, ერთიანი ქსელით, ერთი სალაროთი და, რაც მთავარია, ერთი მმართველით, რომელიც, ბუნებრივია, მოსკოვში იჯდება.

დაბოლოს: "24 საათი" უკვე წერდა, რომ "რაო" "თელასის" გენერალური დირექტორის შეცვლას გეგმავდა. ჯერ კიდევ ერთი თვის წინ მოსალოდნელი საკადრო ცვლილება ახლა უკვე ნამდვილად განხორციელდა და სერგეი კაპლიას სავარძელი "ორიოლენერგოს" აწ უკვე ყოფილმა გენერალურმა დირექტორმა იური პიმონოვმა დაიკავა. იმის შესახებ, დააწინაურეს კაპლია თუ მუშაობა დაუწუნეს, ჯერჯერობით არავინ საუბრობს...

## ირაკლი ოქრუაშვილმა "სავალდებულო საპარლამენტო სამსახური" მოიხადა

პირველი გვერდიდან



ირაკლი ოქრუაშვილის თქმით, იგი კარგად ფლობს არმიაში არსებულ სიტუაციას.

ამ საკითხზე საქართველოს თავდაცვის მინისტრი დეტალურად საუბრობს. **"ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებამ ძალიან გამაკვირვა და ამიტომ, ჩემს ამერიკელ კოლეგებს კითხვით მივმართე: "განცხადება მიანიშნებს იმას, რომ საქართველოს ხელისუფლებას ხელეწიფება ამის ჩამდენი ადამიანების დასჯა. მაშინ, პირდაპირ მიგვითითეთ, ვინ არიან ისინი და ჩვენ მზად ვართ, მათ პასუხი ვაგებინოთ." ამ მიმართვის შემდეგ ამერიკაში ვიმყოფებოდი და, სხვა საკითხებთან ერთად, ამ თემაზეც მქონდა საუბარი, მაგრამ მსგავსი სახის შენიშვნა და პრეტენზია უკვე აღარ მომისმენია... მაინც, ვის მიერ შეიძლებოდა განხორციელებულიყო 20 სექტემბრის აქტი? ცხინვალის დაბომბვისთანავე საქართველოს პრეზიდენტმა და ჩვენმა უცხოელმა კოლეგებმა მოითხოვეს, რომ ჩატარებულიყო დეტალური გამოძიება, ეუთო-ს წარმომადგენელთა მონაწილეობით, რათა ყველა კითხვას გასცემოდა პასუხი და ჩვენი მისამართით დაუსაბუთებელი ბრალდებები არ ყოფილიყო. გამოძიება უკვე ჩატარდა. ეუთო-ს დასკვნაში ერთმნიშვნელოვნად არის ხაზგასმული, რომ მომხდარი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს დაკავშირებული ქართულ სამშვიდობო კონტინგენტთან, რადგან მას ისეთი იარაღი, რომლიდანაც გასროლა მოხდა, შეიარაღებაში არ გააჩნია. ძალიან ბევრ კითხვას ბადებს და ეჭვს იწვევს ის, რომ არც ჩვენი და არც ეუთო-ს დამკვირვებლები არ დაუშვეს ნაღმების აფეთქების ადგილზე, რათა სათანადო მექანიზმებით განესაზღვრათ, როგორი ტრაექტორიით მოხდა გასროლა. სხვათა შორის, არც ნივთმტკიცება (ნამსხვრევების სახით) გადმოგვცეს. ერთი უცნაური ფაქტიც მოხდა: დაბომბვიდან მესამე დღეს, რუსმა სამშვიდობოებმა განაცხადეს, რომ იპოვეს თვითმხილველი, რომელმაც დაინახა, თუ საიდან მოხდა გასროლა. გაირკვა, რომ ეს ადგილი რუსი სამშვიდობოების მთავარი ბაზიდან, სულ რაღაც, 500 მეტრით ყოფილა დაშორებული. ეუთო-ს დამკვირვებლების მიერ ეს ვიდეოჩანაწერებით დაფიქსირდა. ამის შემდეგ ის თვითმხილველი რუსი სამშვიდობო ჯარისკაცი ქართულ მხარეს თვალით აღარ უნახავს. როგორც ჩანს, მისი ჩვენებით რუსები ძალიან გაღიზიანდნენ, ამ ჯარისკაცის მიმართ მისი ხელმძღვანელობის მხრიდან პრეტენზიების გამოხატვა ჯერ კიდევ ნაჩვენებ ადგილზე დაიწყო... საინტერესო მოსაზრებაა გამოთქმული ეუთო-ს დასკვნაში, საიდანაც ირკვევა, რომ შარშან ეუთო-ს დამკვირვებლებმა ოსური მხარის შეიარაღებაში ექვსი ერთეული 120-მილიმეტრიანი ნაღმსატყორცნი დააფიქსირეს, კოკოითის მიერ ჩატარებულ სამხედრო აღლუმის დროს კი, ტანკებისა და სხვა სახის სამხედრო ტექნიკის გვერდით, ეს ნაღმტყორცნები არ გამოუყვანიათ...**

**მე კარგად ვფლობ ქართულ არმიაში არსებულ სიტუაციას და ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ 20 სექტემბერს ცხინვალის მიმართულებით გასროლა ქართველ ჯარისკაცებს არ განუხორციელებიათ. ასე რომ მომხდარიყო, მეორე დღესვე დავწერდი განცხადებას და თანამდებობიდან გადავდგებოდი,"** - ასე პასუხობს ირაკლი ოქრუაშვილი 20 სექტემბერს ცხინვალის დაბომბვის ფაქტთან დაკავშირებით დეპუტატების მიერ დასმულ შეკითხვას.

თავდაცვის მინისტრმა გუშინ ასევე დეტალურად ისაუბრა უკრაინული იარაღის შეძენასთან დაკავშირებულ სკანდალზე, "არმიის განვითარების ფონდის" გამჭვირვალობის საკითხზე, "კომანდოს ბატალიონიდან" ჯარისკაცების წასვლაზე, სავალდებულო სამხედრო სამსახურის ვადის ერთიდან წელიწადნახევრამდე გაზრდის მიზეზებზე და დეპუტატებისთვის საინტერესო სხვა თემებზე.

## ავარიული ბინები და „კასკიანი" მძღოლები

პირველი გვერდიდან

მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის ზურაბ ჩიკვილაძის განცხადებით, მათმა სამსახურმა ამ პრობლემის მოსაგვარებლად შესაძლებლობები უკვე ამოწურა.

**"მე რამდენჯერმე შევხვდი მძღოლებს, თუმცა, მეტი რაღა უნდა გავაკეთოთ, არ ვიცი. საპატრულო პოლიცია სამარშრუტო ტაქსების მოძრაობის სქემას აკონტროლებს, რათა სხვა ხაზის მძღოლები თაბუკაშვილის ქუჩაზე არ შემოვიდნენ. რამდენჯერმე გავხსენით მოსახლეობის მიერ აგებული ბარიკადები და ყოველდღე სიტუაციას ნამდვილად ვერ ვაკონტროლებთ. ერთი რამ კი შემიძლია მძღოლებს ვურჩიო: მოსახლეობა თუ ქვებს ესვრის, "კასკები" დაიფარონ და ისე იარონ,"** – აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას ზურაბ ჩიკვილაძემ.

მოსახლეობის განცხადებით, მათი სახლები ავარიულ მდგომარეობაშია და მიკროავტობუსების მოძრაობით მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმდება. სამარშრუტო მიკროავტობუსების მძღოლები კი აცხადებენ, რომ თაბუკაშვილის ქუჩა საკმაოდ მყარია და არც ჩანგრევის საშიშროება არსებობს. ამის დასამტკიცებლად, გუშინ სამარშრუტო ტაქსის მძღოლებმა ერთი ექსპერიმენტიც ჩაატარეს. მათ წყლით სავსე ჭიქები დადგეს ტროტუარზე და დაკვირვება აწარმოეს. ტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობისას ჭიქიდან წყალი არ გადმოღვრილა, რაც მძღოლებმა იმის დასტურად ჩათვალეს, რომ ქუჩაზე რყევა არ წარმოიქნება.

ექსპერიმენტის წარმატებით ჩატარების მიუხედავად, მოსახლეობა აზრის შეცვლას არ აპირებს. პოზიციების დათმობას არც მძღოლები აპირებენ. გაურკვეველია, თუ რომელ ინსტანციას ევალება ამ პრობლემის საბოლოოდ გადაჭრა, ან ვინ აიღებს პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაში, თუკი მოსახლეობასა და მძღოლებს შორის დაწყებული დავა უფრო მწვავე ფაზაში გადავა.



საპროტესტო აქცია თაბუკაშვილის ქუჩაზე.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** გუშინ საქართველოს ფინანსთა სამინისტროში მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის წარმომადგენლები მიიღო. მისიას ჯულიან ბერენგაუტი ხელმძღვანელობს. მათ საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების საკითხი და მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის პარამეტრები განიხილეს. "2005 წლის ბიუჯეტი გეგმის მიხედვით ხორციელდება, რაც მისასალმებელია. განვიხილეთ 2006 წლის ბიუჯეტის პარამეტრებიც. იმედი გვაქვს, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო სტაბილური გახდება," - განაცხადა ბერენგაუტმა. როგორც ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, მისიის დადებითი შეფასების შემთხვევაში საქართველო მორიგ ტრანშს მიიღებს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია საქართველოს 1 ნოემბერს დატოვებს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** კომპანია "ბრითიშ პეტროლიუმის" ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობაზე დასაქმებული, საქართველოს მოქალაქეები კუთვნილ სახელფასო დავალიანებას მიიღებენ. ამ დავალიანებას კომპანია უახლოესი სამი დღის განმავლობაში სრულად დაფარავს, - ამის შესახებ საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტმა ნიკა ვაშაკიძემ დღეს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. აღსანიშნავია, რომ ქართველი მუშები და პროექტში დასაქმებული, ორმოცამდე ქართული კომპანიის თანამშრომლები "ბიპის" საქართველოს წარმომადგენლობის შენობის წინ მთელი ზაფხულის განმავლობაში საპროტესტო აქციებს მართავდნენ. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას ხორბლის საკუთარი ბაზარი ექნება. დსთ-ს სამთავრობოთაშორისო საბჭომ გადაწყვეტილება ხორბლის ერთიანი ბაზრის ჩამოყალიბებაზე 26 ოქტომბერს ყირიმში მიიღო. აღსანიშნავია, რომ შეხვედრაში მონაწილეობა მხოლოდ საქართველოსა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს არ მიუღიათ. დელეგაციათა წარმომადგენლები პირველ ეტაპზე მარცვლეულის ბაზრის სამთავრობათაშორისო კომიტეტის შექმნაზე შეთანხმდნენ, რომლის შემადგენლობაშიც რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი და ბელორუსი შევლენ. ეს ქვეყნები მსოფლიოში ხორბლის ესქპორტის 20 პროცენტს ახორციელებენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**ახალციხე.** ადიგენის რაიონის 25-კომლიანი სოფლის უტყისუბანის ელექტროფიკაციისთვის დაახლოებით 40 ათასი ლარია საჭირო. სოფელს, სადაც აჭარის მაღალმთიანი რაიონიდან, ხულოდან გადმოსახლებული ოჯახები ცხოვრობენ, ელექტროენერგია უკვე 15 წელია, არ მიეწოდება. ამის მიზეზი კი 8-კილომეტრიანი ელექტროგადამცემი ხაზის გაძარცვაა. "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ადიგენის ფილიალის მენეჯერის თამაზ ნატროშვილის თქმით, ელექტროგადამცემი ხაზის აღდგენას, სულ მცირე, 40 ათასი ლარი სჭირდება. გაძარცულია 110 ბოძი და გადამწვარია ტრანსფორმატორები. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარემ გიორგი თავაძემ დღეს სემეკის თანამშრომლებს ახალი ენერგოომბუდსმენი დავით მიქაუტაძე წარუდგინა. მიქაუტაძის კანდიდატურა სახალხო დამცველთან სპეციალურად შექმნილმა კომისიამ ცოტა ხნის წინ შეარჩია და იგი ენერგოომბუდსმენად დანიშნა. მიქაუტაძე საქმიანობას უკვე დღეიდან შეუდგება და ენერგეტიკის საკითხებში მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე იმუშავებს. აქამდე, ორი წლის განმავლობაში ენერგოომბუდსმენად დავით ებრალიძე მუშაობდა, რომელსაც, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საქმიანობით განსაზღვრული ვადა ამოეწურა. დავით მიქაუტაძე ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის თანამშრომელი იყო. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აზიის 17 ქვეყნის 70 ბიზნესმენი საქართველოს საინვესტიციო გარემოთი ინტერესდება. სასტუმრო "თბილისი მერიოტში" აზია-წყნარი ოკეანის სავაჭრო-სამრეწველო პალატების კონფედერაციის საბჭოს 70-ე სხდომა გაიხსნა. კონფერენციის ფარგლებში, საქართველოს სავაჭრო პალატა ნეპალის, მონღოლეთის და ტაივანის სავაჭრო პალატებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს გააფორმებს. **ინტერპრესნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ვარდის სახელი ანუ გემოვნების აბსტრაქტული სურვილი:

## ინტერვიუ გიგა ბოკერიასთან

პირველი გვერდიდან

**- საკითხი, რომლის გარშემოც მსურს საუბარი, ყველასათვის ცნობილია: ყოველ შემთხვევაში, ამბობენ, რომ ანკორიჯიდან კეიპტაუნამდე და ლისაბონიდან ჰონკონგამდე ყველასათვის ცნობილია, რას ნიშნავს "ელ-ვე" — liberal values, ანუ ლიბერალური ღირებულებები. წარმოვიდგინოთ ახლა ასეთი ვითარება: გვეუბნებიან, რომ ჯერ სახელმწიფო უნდა ავაშენოთ, განვამტკიცოთ, შემდეგ კი ავავსოთ ის ლიბერალურ-დემოკრატიული შინაარსით. რამდენად გამართლებულია ამგვარი მექანიცისტური მიდგომა?**

- მახსოვს, 90-იან წლებში იყო საკითხის ასეთი დაყენება: ჯერ დამოუკიდებლობა, მერე დემოკრატია... არა მგონია, ამის მსგავსად ვინმე ფიქრობდეს დღეს, თუმცა არ უნდა აგვერიოს ეს იმ ცნობილ აზრში, რომელიც სულ ახლახან ერთმა ამერიკელმა მკვლევარმა, გვარად როზემ, გამოთქვა ვარდების რევოლუციის პერიოდში: "სანამ საქართველო გახდება ნამდვილი დემოკრატია, ის უნდა გახდეს ნამდვილი სახელმწიფო". მაშინ, მაგალითად, აჭარაში ჯერ კიდევ იყო ასლან აბაშიძის რეჟიმი... და მაინც, არ უნდა გავიგოთ, თითქოს აქ იგულისხმება, რომ ჯერ უნდა აიგოს აბსტრაქტული სახელმწიფო და მერე უნდა ვიფიქროთ ისეთ რამეზე, როგორიცაა ადამიანის უფლებები ან პერსონალური ავტონომია. უბრალოდ, ეს აზრი გულისხმობდა, რომ ყოველი ამ ღირებულების დასაცავად ჯერ საჭიროა არსებობდეს სახელმწიფო, რომელიც თავისი აღმშენებლობის პროცესში დამყარდება ამ ღირებულებებზე. თუმცა, აქაც შეგვიძლია ადვილად შევიდეთ შეცდომაში, რადგან მრავალ სხვადასხვა ადგილას ტერმინი "ლიბერალური" მრავალ სხვადასხვა რამეს ნიშნავს პოლიტიკურად.

**- სანამ შემდეგ შეკითხვაზე გადავალთ, დავაზუსტოთ — შენთვის პირადად რას ნიშნავს ლიბერალური ღირებულებები?**

- მე უკვე ვახსენე პერსონალური ავტონომია, ანუ ის, რომ ამოსავალი წერტილი არის პიროვნება და მისი თავისუფლება. სწორედ ამას ეფუძნება სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი ღირებულებები, მაგალითად, პატრიოტიზმი, რადგან ეს უკანასკნელი უნდა იყოს ინდივიდუალური თავისუფალი ადამიანების არჩევანი.

**- ჩვენ, საქართველოს მოსახლეობას, ძალიან ხშირად გვეუბნებიან, როგორ შენდება ქართული სახელმწიფო. მოდი, ვნახოთ, როგორ შენდება ქართული ლიბერალური სახელმწიფო...**

- მაშინ დავიწყოთ საფუძვლიდან. რა პრინციპებს ემყარება ლიბერალური სახელმწიფო? — ჯერ ერთი, იმას, რომ გადაწყვეტილებებს იღებს უმრავლესობა: ყველა ადამიანი თანასწორია და ამიტომ გადაწყვეტილება ეკუთვნის უმრავლესობას იმ საკითხებზე, რაშიც ყველა ვერ თანხმდება. ჩვეულებრივ, ყველა ვერ თანხმდება ვერაფერზე. მაგრამ არის მეორე პრინციპიც: არსებობს საკითხები, რომლებსაც არ შეიძლება შეეხო თუნდაც უმრავლესობით. ძალიან პრიმიტიული მაგალითი რომ მოვიყვანო, არ შეიძლება, რომ უმრავლესობამ ერთ მშვენიერ დღეს გადაწყვიტოს, რომ ქერათმიანები უნდა გაიჟლიტონ, ან რომ ქერათმიანებმა არ უნდა მიიღონ მონაწილეობა კამათში. ერთი სიტყვით, იგულისხმება ერთგვარი თვითშეზღუდვა, რაზეც უმრავლესობაც და უმცირესობაც შეთანხმდება წინასწარ.

**- ერთი სიტყვით, ლიბერალური სახელმწიფოს ასაშენებლად საჭიროა, რომ უმრავლესობასაც და უმცირესობასაც ჰქონდეს საერთო ღირებულებები.**

- რა თქმა უნდა. მართალია, არსებობს რაღაც გონებამახვილური მარგინალური თეორიები იმის შესახებ, რომ ამგვარი უნივერსალური ღირებულებების არსებობა შეუძლებელია, რადგან მათი დადგენაც უმრავლესობის საშუალებით უნდა მოხდეს, მაგრამ მე იმიტომაც ვარ ბუნებითი უფლებების მომხრე, რომ მჯერა, თვითკმარი ღირებულებების არსებობა. მაგალითად, ყოველგვარი კამათის გარეშეა აზრი, რომ ადამიანს უყვარს, როცა არ ამცირებენ და არ შეურაცხყოფენ, რომ მან თვითონ უნდა აირჩიოს, რა ჩაიცვას, და ასე შემდეგ.

**- მშვენიერია — ამაზე შევთანხმდით. მაგრამ კიდევ ერთხელ ვიტყვი: ჩვენ ძალიან ბევრს გვეუბნებიან, რა კეთდება საქართველოში წესრიგის დაცვის თვალსაზრისით. მაგრამ თუ ვიფიქრებთ ადამიანის შინაგან განვითარებაზე, რა არის ამ მხრივ ხელისუფლების ფუნქცია და რას აკეთებს ის კონკრეტულად?**

- ხელისუფლების ფუნქცია, უპირველეს ყოვლისა, სწორედ პერსონალური ავტონომიის დაცვაა. ანუ მან არ უნდა მისცეს საშუალება ადამიანების რომელიმე ჯგუფს შეავიწროოს სხვა ჯგუფი, თუნდაც ეს უკანასკნელი უმცირესობაში იყოს, იმის გამო, რომ არ მოსწონს მისი რომელიმე არჩევანი. პირველ რიგში, სახელმწიფო არბიტრია და არა აღმზრდელი. მისი პოზიცია ჰგავს, მაგალითად, ექიმისას, რომლისთვის არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა, ვინაა პაციენტი.

მაგრამ ჩვენს პირობებში პოლიტიკურ ელიტას სხვა ფუნქციაც აქვს: არის გარკვეული ღირებულებების დამკვიდრების საშუალებაც. ხელისუფლებას აქვს დემოკრატიულად მიღებული მანდატი და მას შეუძლია აუხსნას მოქალაქეებს, დაარწმუნოს ისინი, თავისი ამა თუ იმ ნაბიჯის სიკეთესა და სისწორეში.

**- აი, ახლა, სწორედ ამ დროს სოროსის ფონდის შენობისკენ მიემართებიან არარსებული სახელმწიფოს დროშებით აღჭურვილი ადამიანები... არ არის ეს ერთი ჯგუფის მიერ მეორის შევიწროება, რომელშიც სახელმწიფო უნდა ჩაერიოს?**

- არა, ვერ დაგეთანხმები... რაც არ უნდა უცნაური და გაუგებარი იყოს ჩვენთვის ადამიანების მიზნები, მათ ისეთივე თავისუფლება აქვთ, როგორც ჩვენ.

**- ესე იგი, ხატოვნად რომ ვთქვათ, მიგაჩნია, რომ მათ მიერ მოქნეული მუშტი ჯერ არავის ცხვირს არ მოხვედრია...**

- ეს შეგვიძლია პირდაპირ გავიგოთ. მანამდე, სანამ მათ არ შეუზღუდიათ სხვისი უფლება, მოიქცნენ ისევე, როგორც თვითონ იქცევიან, არავის აქვს მათი შეზღუდვის უფლება. ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ უნდა ვამხილოთ ისინი, ამ სიტყვის ნორმალური გაგებით.

**- მაშინ კიდევ ერთი მაგალითი ვნახოთ: ავიღოთ პირობითი, ასე ვთქვათ, მემარჯვენე მოდელი, როცა სახელმწიფო არ ერევა ბევრ მნიშვნელოვან პროცესში და ეს პროცესები ბუნებრივად ვითარდება. ვგულისხმობ კერძო მეწარმეობას, განათლებას...**

- მაგრამ სახელმწიფო განსაზღვრავს, მაგალითად, განათლების კურიკულუმებს...

**- ჰო, როგორც დამკვეთი. მე ვგულისხმობ იმას, რომ თბილისში წესრიგის აბსტრაქტული იდეისთვის გაიწირა რეალური სამუშაო ადგილების საგრძნობი რაოდენობა. საუბარი, როგორც ხვდები, სამარშრუტო ტაქსებზეა. განა ამ ადამიანების ინტერესები უფრო ახლოს არ დგას პერსონალური ავტონომიის პრინციპთან, ვიდრე იდეალური ქალაქის მოდელი?**

- პერსონალური ავტონომია არ შეიძლება უსაზღვროდ გაფართოვდეს, თორემ საბაზისო სიტყვების მნიშვნელობა დაიკარგება. სამუშაო ადგილი, ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანის ცხოვრებაში, მაგრამ იმის გარანტირებული უფლება, რომ ის გექნება, არ არსებობს. არსებობს უფლება იმისა, რომ მოიპოვო სამუშაო ადგილი კონკურენციულ პირობებში, ანუ ადამიანს აქვს უფლება ჰქონდეს შანსი, ისე, როგორც ნებისმიერ სხვას. სხვადასხვა პირობიდან გამომდინარე, შესაძლებელია შეიქმნას ისეთი გარემოებები, რომ ადამიანი დაკარგავს სამუშაოს. სასურველია, რომ ამგვარი გარემოებები ყოველთვის კერძო ურთიერთობებიდან გამომდინარეობდეს და სახელმწიფო არ გახდეს ამის მიზეზი, მაგრამ ადვილად წარმოსადგენია ვითარება, როცა გარკვეული აუცილებელი გადაწყვეტილებების შესრულება პირდაპირ თუ ირიბად იწვევს ამ შედეგს. მაგრამ ეს ვერც მეცნიერული ანალიზის და ვერც პრაქტიკული სამართლებრივი აპლიკაციის თვალსაზრისით ვერ ჩაითვლება რაიმე უფლების ხელყოფად. მით უმეტეს, ქალაქი არის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო მაგალითი იმისა, თუ რატომ არსებობს სახელმწიფო. არ შეიძლება ყველაფრის მიშვება ნებაზე: ადამიანს არ შეუძლია ყველა სიკეთის უზრუნველყოფა თავისთვის, არსებობს რაღაცეები, რასაც ვინმემ უნდა მიხედოს. ეს გულისხმობს, რომ მრავალ ადამიანს აქვს ერთი და იგივე სურვილი, ესე იგი, უნდა არსებობდეს ვიღაც, ვინც ამაზე იფიქრებს და მათ შესაბამის სერვისს მიაწვდის. ეს კი ნიშნავს, რომ ამ ვითარებაში შეიძლება ვინმე შეიზღუდოს კიდეც. შეუძლებელია სხვანაირად იყოს.

**- მაგრამ საქართველოში მაინც აშკარად შეინიშნება ლიბერალური ღირებულებების გადმოცემის, მათი რეალური "ბრუნვის" დეფიციტი. გაგახსენებ, ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში რომ მითხარი: საქართველოში ძალიან რესპექტაბელურმა ადამიანებმა შეიძლება იქადაგონ ნაცისტური ან კრიმინალური აზრებიო...**

- სამწუხაროდ, უნდა დაგეთანხმო... ვფიქრობ, ახლა მედიაზე ვლაპარაკობთ. იმავე გასული საუკუნის გამოცდილებიდან, როცა საქმე ეხებოდა ეთნიკურ, რელიგიურ და სხვა სახის თანასწორობას, აქ მედიამ ძალიან უარყოფითი როლი შეასრულა. მან შეუწყო ხელი და ზოგჯერ შექმნა კიდეც ის განწყობილებები, რომელთა ნიადაგზე ირღვეოდა ადამიანის უფლებები. აქაც სახელმწიფოს და, უფრო კონკრეტულად, პოლიტიკურ ელიტას ორმაგი ფუნქცია აკისრია: ერთი მხრივ, ფიზიკურად აღკვეთოს ვინმეს მხრიდან ეთნიკურ ან რელიგიურ ნიადაგზე ძალადობრივი აქტები, მეორე მხრივ — იმ ღირებულებების ქადაგება (სხვათა შორის, ლიდერთა მიერაც), რომლებზედაც ახლა ვსაუბრობთ. მაგალითად, რაც შეეხება ეთნიკურ თანასწორობას, ეს საკითხი დღეს საქართველოში უკვე აღარაა პრობლემატური, თუმცა არსებობენ ადამიანები, მათ შორის, ამ შენობაშიც, ანუ პარლამენტშიც, რომლებსაც აქვთ სურვილი ამ ფაქტორით სპეკულირებისა. მაგრამ ის პოლიტიკური და, მე ვიტყოდი, მორალური უპირატესობა, რომელიც ჩვენ გვაქვს, გვაძლევს საშუალებას, ვიფიქროთ, რომ პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ წარსულს ჩაბარდება. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ საპირისპირო თვალსაზრისის მქონე ადამიანები არ იარსებებენ. ისინი ყველგან არსებობენ, მაგრამ ჩვენი ამოცანაა მათი კეთროვანთა მდგომარეობაში ჩაყენება.

მთელი ხელისუფლება, საქართველოს პრეზიდენტიდან დაწყებული, ყოველთვის ხაზს უსვამს იმას, რომ საქართველო არის საქართველოს მოქალაქეების და არა ეთნიკური ქართველების ქვეყანა და რომ ქართველი ნიშნავს სახელმწიფოებრივად და პოლიტიკურად ქართველს.

**- მაგრამ რა კონკრეტული რესურსებია ამისთვის ამოქმედებული? რომ გადავხედოთ პრესას, ამგვარი ოპტიმიზმის საფუძველი ძნელად შეგვექმნება.**

- მე ვლაპარაკობდი იმაზე, რისი გაკეთება შეუძლია პოლიტიკურ ელიტას. რაც შეეხება მედიას, როგორიც უნდა იყოს ის, მას უწევს ამ ყველაფრის ტირაჟირება.

**- სახელდობრ რისი?**

- ხელისუფლების მიერ ლიბერალური ღირებულებების ქადაგებისა. შეიძლება არც უნდოდეთ, მაგრამ როცა პრეზიდენტს მოჰყავს ეთნიკურად ოსი პოლიციელების მაგალითი და ამტკიცებს, რომ სწორედ ისინი არიან საქართველოს პატრიოტები, ხოლო ეთნიკური ქართველი შეიძლება საპირისპიროც იყოს, ეს უკვე ძალიან მნიშვნელოვანია.

ერთი სიტყვით, ჩვენ აღარავინ გვსაყვედურობს ეთნოცენტრიზმს. სხვა საქმეა, რომ ვიღაც, ბრჭყალებში ან არა ბრჭყალებში ინტელექტუალები, ამბობდნენ: რა საჭიროა მილიტარიზაცია, რა საჭირო ამდენი ჯარი. მაგრამ ეს ჩვეულებრივი იდეათა ჭიდილია.

**- სხვათა შორის, ხშირად იხსენებენ შენს ჩვევას, გაემიჯნო საზოგადოების ამ ნაწილს: თქვენ, ინტელექტუალები. უეჭველია, რომ პოლიტიკა ინტელექტუალური საქმეა, უფრო მეტიც, პოლიტიკური პარტიის შექმნაც ინტელექტუალური საქმეა. რატომ შეინიშნება ასეთი უნდობლობა ინტელექტუალების მიმართ?**

- კონკრეტულად ვერ ვიხსენებ, რა კონტექსტში მითქვამს ეს წინადადება — "თქვენ, ინტელექტუალები". მაგრამ ისევ გასული საუკუნის გამოცდილებას დავეყრდნობი, როცა თამამად შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოების ყველაზე დეგრადირებულ ნაწილს წარმოადგენდნენ სწორედ ინტელექტუალები.

**- კერძოდ?**

- მე ვგულისხმობ საბჭოთა დროს კარგ ცხოვრებასა და საზოგადოებრივ ავტორიტეტს ნაზიარებ ელიტებს მეცნიერების, ხელოვნებისა და სპორტის დარგში. აი, ამათგან განსხვავებით, ისინი, ვისაც ინტელექტუალები უბირ ხალხს უწოდებენ, გაცილებით უფრო საღი გონებისა აღმოჩნდნენ და არ აყვნენ საცდურს.

**- ჰო, ტერმინოლოგიური სიმკაცრე რომ შევინარჩუნოთ, ეს ინტელიგენციაა და არა ინტელექტუალები. მახსოვს, როცა აგრარული უნივერსიტეტის რექტორი დააკავეს, მისი ნათესავი ტელეეთერში ყვიროდა, მეცნიერების პატივისცემა არა აქვთო. ვფიქრობ, ძველი ინტელიგენციისა და ახალი ინტელექტუალების გარჩევა უფრო მკაფიოდ უნდა მოხდეს ახალი ხელისუფლების მიერ. მაგრამ ბოლო საკითხი მაინც დაგვრჩა: ერთი მხრივ, მატულობს ხელისუფლებით უკმაყოფილოთა რიცხვი სწორედ იმ მოსახლეობაში, რომელიც ახლახან ასე კეთილად მოვიხსენიეთ; მეორე მხრივ, ხელისუფლების წევრებს გაუჭირდებათ უარის თქმა ბევრ რამეზე, გადაწყვეტილების მიღებით მონიჭებული სიამოვნებიდან შეძენილ თუ მოხვეჭილ არცთუ მცირე მატერიალურ ქონებამდე. ხომ არ დადგა დრო, ხელისუფლებამ უფრო ჭკვიანურად და გემოვნებიანად მიხედოს საზოგადოებაში საკუთარი დამკვიდრების საქმეს?**

- ყოველთვის არის აბსტრაქტული სურვილი, რამე გააკეთო უფრო ჭკვიანურად და უფრო გემოვნებიანად. თუმცა ეს უკანასკნელი საკამათო საკითხია. სერიოზულად კი იმას ვიტყვი, რომ უკმაყოფილოთა რიცხვი მართლაც იზრდება და რეფორმების პირობებში ეს ბუნებრივიცაა, მაგრამ ეს რიცხვი არ უახლოვდება კრიტიკულ ზღვარს. ეს არც ერთი გამოკვლევით არ დასტურდება. თანაც, არჩევნების შედეგებიც ამტკიცებს ამას. რაც მთავარია, ადამიანები ყოველთვის დასვამენ შეკითხვას: ვის შეუძლია რეალურად გააკეთოს ის, რაც მათ სურთ?

**- და თუ ერთ მშვენიერ დღეს იმ დასკვნამდე მივლენ, რომ მათი სურვილების შესრულებას სხვა უკეთ შეძლებს?**

- ასეთი რამ მართლაც შეიძლება ეგონოთ, მაგრამ ძალიან ცოტა ხნით.



*2003 წლის ნოემბრის დღეები - რევოლუციონერი გიგა ბოკერია.*

## ნიდერლანდები საქართველოს ეროვნულ ბანკს ფინანსურ-ტექნიკურ და მეთოდოლოგიურ დახმარებას გაუწევს

გოგა კალაძე

*"24 საათი" გუშინ უკვე წერდა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე ნიდერლანდების სამეფოში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში ამ ქვეყნის სამთავრობო სააგენტოს – ნიდერლანდების განვითარების საფინანსო კომპანიის ხელმძღვანელებს შეხვდა. საუბარი შეეხო დახმარებას, რომელიც აღნიშნულმა სააგენტომ, შესაძლოა, საქართველოს ეროვნულ ბანკს ახალი საკასო ცენტრის ორგანიზებისათვის აღმოუჩინოს.*

შეხვედრაზე ნიდერლანდების მხარის წარმომადგენლებმა იმის შესაძლებლობაზე ისაუბრეს, რომ ნიდერლანდების განვითარების საფინანსო კომპანია აღნიშნული პროექტის თანადამფინანსებლად გამოვა. ნიდერლანდურმა სამთავრობო სააგენტომ შეიძლება საქართველოს ეროვნული ბანკის ახალი საკასო ცენტრის ორგანიზებისათვის გრანტიც გამოყოს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი ნაღდი ფულის სალაროსა და ფასეულობის საცავის განთავსებას ქალაქგარეთ, სპეციალური ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილ შენობაში გეგმავს. **„საქართველოსთვის, როგორც ევროკავშირსა და, შესაბამისად, ევროზონაში შესვლის სურვილის მქონე სახელმწიფოსთვის, მნიშვნელოვანია გააჩნდეს საერთაშორისო სტანდარტების დონეზე აღჭურვილი, ნაღდი ფულის სალაროსა და ფასეულობის საცავი. ახალი საკასო ცენტრი გააკონტროლებს ნაღდი ფულით განხორციელებულ ყველა ოპერაციას და საერთაშორისო სტანდარტების დაცვით მოახდენს ფასეულობასთან დაკავშირებული ყოველგვარი საქმიანობის ერთიან, დახურულ სივრცეში უსაფრთხო წარმოებას,“** – მიიჩნევს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე.

გუშინვე, ვიზიტის ფარგლებში საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა შეხვედრა გამართა ნიდერლანდების სამეფო ზარაფხანაში, რომელიც ნიდერლანდებს ლითონის ფულის ნიშნებით ამარაგებს. ნიდერლანდების სამეფო ზარაფხანის წარმომადგენლებმა ქართული ფულის დიზაინის კონცეფციის შემუშავებაში მონაწილეობისა და ფულის ნიშნების დამზადების სურვილი გამოთქვეს. გარდა ამისა, კომპანია 50 თეთრის, 1 და 2 ლარის ნომინალის მონეტების დამამზადებელი საწარმოს გამოსავლენ კონკურსში მონაწილეობასაც გეგმავს.

# შპს "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსის" განცხადება

ქართული საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ შპს "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსი" ქართული ეკონომიკის ერთ-ერთი მსხვილი ინვესტორია. მისი დამფუძნებლები და საწესდებო კაპიტალში წილის 99%-ის მესაკუთრეები არიან ბრიტანელი ინვესტორები და ფონდი "Asian Global Opportunity Fund" ("AGOF").

საქართველოში საქმიანობის პერიოდში კომპანიამ, რომელიც უცხოელი ინვესტორების ჯგუფის წარმომადგენელია, არაერთი საინტერესო და მრავალმილიონიანი პროექტის განხორციელება დაიწყო.

2004 წლიდან კომპანია მუშაობს თუჯის პროექტზე, რომელშიც ინვესტიციებმა 15 მილიონ აშშ დოლარზე მეტი შეადგინა.

2004 წლიდან დღემდე შპს "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსმა" საქართველოს ბიუჯეტში სხვადასხვა გადასახადების სახით შეიტანა 2,5 მილიონ ლარზე მეტი და ხელფასების სახით ს/ს "თუჯი-XXI"-ის მუშა-მოსამსახურეებზე დარიგდა 2 მილიონამდე ლარი.

ფონდი "Asian Global Opportunity Fund" ("AGOF")-ისა და ბრიტანელი ინვესტორების დაფინანსებით, შპს "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსმა" 2005 წლის 12 ოქტომბერს მონაწილეობა მიიღო და გაიმარჯვა ს/ს "რუსთავის მეტალურგიული კომბინატის" გაკოტრების მმართველის მიერ გამოცხადებულ ღია აუქციონში და 22 მილიონ აშშ დოლარზე მეტად შეიძინა რუსთავის მეტალურგიული კომბინატის გაკოტრების მასაში შემავალი ქონება.

ამასთან, მხოლოდ რუსთავის მეტალურგიული კომბინატის რესტრუქტურიზაციასა და რეაბილიტაციაზე კომპანია 150 მილიონ დოლარზე მეტის დახარჯვას აპირებს. ეს პროგრამა უკვე შედგენილია და შეთანხმებულია ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან.

ინვესტიციების განხორციელების პერიოდში მეტალურგიულ კომბინატში 8.000-ზე მეტი ადამიანი დასაქმდება. დასაქმების ასეთი უპრეცენდენტო პროექტი საქართველოში მე-20 საუკუნის 60-იანი წლების შემდეგ არ განხორციელებულა.

მიმდინარე წლის 25 ოქტომბერს "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსმა" მონაწილეობა მიიღო საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ს/ს "მადნეულის" აქციათა პაკეტის 97,25%-ისა და შპს "ტრანს ჯორჯია რესურსის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 50%-ი წილის კონკურსის ფორმით პრივატიზების შესახებ დახურულ ტენდერში. ერთი შეხედვითაც კარგად ჩანს, რომ კომპანიის მიერ შეთავაზებული პირობები საუკეთესოა. კომპანია ყიდულობს "მადნეულს" 36 მილიონ აშშ დოლარად და გაისტუმრებს ყველა დავალიანებას სახელმწიფო ბიუჯეტისა და კერძო კრედიტორების მიმართ. ამასთან, უმნიშვნელოვანესია, რომ "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსი" დასაქმებისა და ბიუჯეტში შენატანების ზრდასთან ერთად, განახორციელებს ეკოლოგიური უსაფრთხოების პროგრამას და გარემოს დაცვის კუთხით სრულიად უსაფრთხოს გახდის კომბინატის მუშაობას.

2005 წლის ბოლომდე "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსი" ვალდებულებას იღებს მხოლოდ 2 ობიექტის ყიდვის შედეგად სახელმწიფოს გადაუხადოს 60 მილიონ აშშ დოლარზე მეტი.

ამ და სხვა საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხების გაათვალისწინებით ცხადია, რომ "მადნეულის" ტენდერში გამარჯვების უდავო ფავორიტი "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსია". ეს დასტურდება როგორც ფასის შეთავაზების, ასევე სახელმწიფოსათვის სოციალურ-ეკონომიკური მომგებიანობისა და სახელმწიფო ბიუჯეტში შენატანების მიხედვით.

სამწუხაროდ, კონკურენტმა მხარემ ტენდერთან დაკავშირებული საკითხები ეკონომიკურიდან, გაურკვეველ პოლიტიკურ ჭრილში გადაიტანა, რათა საზოგადოების ყურადღება ტენდერის მნიშვნელოვანი ასპექტებიდან უმნიშვნელო პიროვნულ საკითხებზე გადაერთო. აბსურდული ბრალდებები გვაფიქრებინებს, რომ მეორე მხარე ტენდერში შეტანილი საბუთების გახსნისთანავე მიხვდა საკუთარ დამარცხებას და ახლა ფსევდოპოლიტიკური ხერხებით ცდილობს ტენდერის ჩაშლას.

"ენერგია და ინდუსტრია კომპლექსის" პრეს-სამსახური უფლებამოსილია განაცხადოს, რომ არც კომპანიასთან და არც მის სხვა ინვესტორებთან ბატონებს ზურაბ ლობჟანიძეს, გელა და დავით ბეჟუაშვილებს არანაირი კავშირი არ აქვთ.

სამწუხაროა, რომ ამ საკითხებზე გვიწევს ყურადღების გამახვილება და არა იმ მართლაც უმნიშვნელოვანეს, მრავალ ასეულ მილიონიან ინვესტიციებზე, რომლის განხორციელებასაც აპირებს ჩვენი კომპანია საქართველოს მზარდ ეკონომიკაში.

ამ განცხადებით ჩვენ დავასრულებთ პოლემიკას მეორე მხარესთან.

დაე, ღირსეულმა გაიმარჯვოს!

*"ენერგია და ინდუსტრია კომპლექსის" პრეს-სამსახური*

# საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის სატენდერო კომისიის განცხადება

27 ოქტომბერი, 2005 წელი

1. საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის სატენდერო კომისიის 3.10.2005 წლის N 3 სხდომის ოქმის თანახმად, საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის 2005 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების შესაბამისად, გათბობის სისტემისათვის საჭირო მოწყობილობების შეძენაზე, გათბობის სისტემის დამონტაჟებასა და გათბობის სისტემის გამართვითი სამუშაოების მომსახურების შესყიდვაზე ეროვნული ბიბლიოთეკა აცხადებს ღია ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვა განხორციელდება შემდეგი მომსახურების მიხედვით:

გათბობის სისტემისათვის საჭირო მოწყობილობების შეძენა, დამონტაჟება და გამართვა

2. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 14 ნოემბერს 10 სთ-დან 15 ნოემბრის 16 სთ-მდე, ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის სატენდერო კომისიის აპარატში სათანადო რეგისტრაციის გავლით, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გუდიაშვილის ქ.N7 (დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს: 987559 მაკა პიტავა).

3. დაინტერესებული პირის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებს და ინფორმაციას, იმის შესახებ, რომ :

3.1. იურიდიული პირისათვის:

ა) მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

ბ) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანქციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);

გ) მის მიმართ არ მიმდინარეობს იძულებითი სააღსრულებლო წარმოება (ცნობა სააღმსრულებლო ბიუროდან);

დ) მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

ე) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

ვ) ცნობა მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი);

ზ) საქმიანობის წარმოებისათვის საჭირო ლიცენზიის ან ნებართვის ასლი (გაცემული შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან, ნოტარიულად დამოწმებული);

თ) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური სამუშაოების შესახებ.

3.2. ფიზიკური პირისთვის:

ა) ცნობა, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

გ) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);

დ) მის მიმართ არ მიმდინარეობს იძულებით სააღსრულებლო წარმოება (ცნობა სააღსრულებლო ბიუროდან);

ე) უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

ვ) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

ზ) ცნობა მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი);

თ) საქმიანობის წარმოებისათვის საჭირო ლიცენზიის ან ნებართვის ასლი (გაცემული შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან, ნოტარიალურად დამოწმებული);

ი) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური სამუშაოების შესახებ.

4. იურიდიული ან ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-3 მუხლში ჩამოთვლილ ყველა ცნობასა და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

5. ტენდერში მონაწილეობისთვის პრეტენდენტი იხდის სატენდერო მოსაკრებელს 500 ლარის ოდენობით, რომელიც უნდა გადაიხადოს სატენდერო დოკუმენტაციის მიღების ვადის გასვლამდე (სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა 2005 წლის 21 ნოემბრის 10 Oსთ-დან 22 ნოემბრის 16 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი , გუდიაშვილის N7, სატენდერო კომისიის აპარატი). საბანკო რეკვიზიტები: საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა, სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტი. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, კოდი 0065, ანგარიში: 000141408, ეროვნული ბანკი, კოდი 220101107

6.სატენდერო დოკუმენტაცია შეგდენილი იქნება ქართულ ენაზე.

7.ტენდერის ჩატარებისას შესაძლებელია მხოლოდ ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

*სატენდერო კომისიის თავმჯდომარე*

## თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

# გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

### გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ განჩინებაში უსწორობის გასწორების შესახებ

ქ. თბილისი 24 ოქტომბერი, 2005 წ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ი. ადეიშვილმა ერთპიროვნულად, ზეპირი განხილვის გარეშე განვიხილე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 12 ოქტომბრის განჩინებაში უსწორობის გასწორების საკითხი.

**გამოვარკვიე:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით გაიხსნა გაკოტრების საქმის წარმოება სს "თბილგაზის" მიმართ. ამავე განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-9 პუნქტით კრედიტორთა პირველი კრების მოწვევის თარილად განისაზღვრა 2005 წლის 15 ნოემბერი. მაგრამ განჩინებაში არ ყოფილა აღნიშნული კრების დაწყების კონკრეტული საათი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის მიხედვით სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა, არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოის მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორების საკითხი შეიძლება გადაწყდეს სხდომაზე.

სასამართლოს მიაჩნია, რომ ადგილი ჰქონდა უსწორობას განჩინებაში, ვინაიდან კონკრეტული საათის აღნიშვნის გარეშე შეუძლებელი გახდება კრების ჩატარება. ამდენად, აღნიშნული უსწორობა უნდა გასწორდეს. ამასთან, სასამართლოს მიზანშეწონილად არ მიაჩნია მხარეთა მოწვევა.

ვიხელმძღვანელე რა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 26-ე, 284-ე, 285-ე მუხლებით

**დავადგინე:**

1. შეტანილ იქნეს შესწორება თბილისის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 12 ოქტომბრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-9 პუნქტში და სს "თბილგაზის" კრედიტორთა პირველი კრების მოწვევის კონკრეტული საათად განისაზღვროს 2005 წლის 15 ნოემბრის 11 საათი. ამ პუნქტისა და მთლიანად განჩინების სხვა ნაწილები დარჩეს უცვლელი;
2. დაევალოს სს "თბილგაზის" გაკოტრების მმართველს გიორგი გვიჩიანს ამ განჩინების გამოქვეყნება იმავე წესით რა წესითაც გამოქვეყნდა 2005 წლსი 12 ოქტომბრის განჩინება;
3. განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა 12 დღის განმავლობაში მისი გამოქვეყნების დღიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში.

მოსამართლე: ი. ადეიშვილი




*ნინია კაკაბაძის სვეტი*

## სანიმუშოდ აქტიური საზოგადოება



უცნაურია ადამიანის ბუნება. საინტერესოა და სულ ვფიქრობ, როდის უნდა იყოს საზოგადოება სოციალურად აქტიური, რა შემთხვევაში? მახსოვს, სულ რამდენიმე ხნის წინ, შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ელექტროენერგია არა თუ სოფლებში, ქალაქშიც დღეების განამავლობაში არ იყო, - საავადმყოფოებშიც, ოპერაციებს ლამპის შუქზე აკეთებდნენ. ამის მიზეზი ის იყო, რომ ვილაც ჩვენთვის კუთვნილ ელექტროენერგიას ყიდდა. დღეს ეს კონკრეტული საკითხი ქალაქში მეტ-ნაკლებად მოწესრიგდა, რაიონებში ისევე მკაცრი და დაუცველი გრაფიკით მიდის დენი. შევარდნაძის ეპოქაში კიდევ უფრო მტკივნეული პრობლემები გვქონდა. უსამართლობა ჩვენი ცხოვრების ჩვეული მდგომარეობა იყო. ამას თითქმის 11 წელი ვითმენდით და ქუჩაში მხოლოდ ამდენი ხნის შემდეგ გამოვედით. დღეს ადამიანებს თავზე ენგრევათ სახლები, პენსიონრები ისევ შიმშილობენ, უდანაშაულო ადამიანები ციხეში სხედან, დამნაშავეები ფულს იხდიან და ისევ აგრძელებენ ტკბილ ცხოვრებას, წინასწარი დაკავების საკნებში ისევ აწამებენ პატიმრებს, ქურდები ისევ პრივილეგირებულნი არიან, ხელისუფლება სანახაობებით ცდილობს მოსახლეობის გართობას და მათი ყურადღების ცეკვა-თამაშზე გადატანას, სახელმწიფო მეტწილად სიცრუის ნიადაგზე შენდება და სხვა და სხვა. იმ პრობლემების ჩამოთვლას, რაც ჩვენს ქვეყანაში დგას, ალბათ, მთელი ჩვენი გაზეთი არ ეყოფა. მაგრამ, ამ პრობლემებით საზოგადოების ძირითადი ნაწილი, კვლავინდებურად სამზარეულოში დისკუსიებით იფარგლება, ქუჩაში კი მაშინ გამოვდივართ, როდესაც ან პიონერთა სასახლეს გვართმევენ ან დავით ალმაშენებლის ძეგლს. მხატვრული თვალსაზრისით როგორი ძეგლია, ამ საკითხს პროფესიონალებს მივანდობ, მე მომწონს თუ არა, ეს, ალბათ, მეორეხარისოვანია. მაგალითად, ძალიან მომწონს დავით გურამიშვილის ქანდაკება, მაგრამ ის, რომ ქალაქის სხვა ნებისმიერ კუთხეში გადაიტანონ და გნებავთ, ქალაქის გარეთ, მგონი, ჩვენი მომავალი არსებობის საკითხი ამით არ გადაწყდება, და ამ შემთხვევაში, ვერ ვხედავ იმ მასშტაბის პრობლემას, რომელიც ქუჩაში გასვლის საბაბი იქნებოდა. თუმცა, თუკი, როგორც ამ ქალაქის რიგით მოქალაქეს მკითხავდნენ, სიამოვნებით ვიხილავდი ალმაშენებლის ნაცვლად სხვა ნებისმიერ დეტალს, იქნება ეს ქანდაკება, შადრევანი (ოღონდ ლამაზი), ლამაზი ყვავილების მოედანი თუ სხვა. შესაძლებელია, არც ის ადამიანები, რომელნიც დღეს ალმაშენებლის ძეგლს დღისით თუ ღამით იცავენ, არიან ქანდაკების მხატვრული ღირსებებით აღფრთოვანებულნი. მიზეზი სულ სხვაგან უნდა ვეძებოთ. ერთი არგუმენტი ასეთია - ძეგლის გადატანა უნდა იყოს შეთანხმებული ავტორთან. ყველა ქანდაკება არის იმ ქალაქის საკუთრება, სადაც ის დგას, ამიტომ თუკი ხელშეკრულებაში არ იყო აღნიშნული, რომ ის მთელი მისი არსებობის ხანაში სწორედ იმ ადგილზე იდგებოდა, სადაც პირველად მოათავსეს, მაშინ მისი გადაადგილების სრული უფლება გააჩნია ქალაქის მუნიციპალიტეტს. სხვა საკითხია, რომ არსებობს ეთიკის დაუწერელი კანონი, რომელიც გვასწავლის ცოცხალი ადამიანის პატივისცემას. ამ წესის თუ კანონის მიხედვით, აშკარად უკეთესი იქნებოდა ქანდაკების ავტორს მისი ნამუშევრის გადაადგილების შესახებ, მედიის მეშვეობით არ შეეტყო. მაგრამ, არც ეს უკანასკნელი შეიძლება ჩავთვალოთ თავშეყრის ძირითად მიზეზად.

მთავარი მიზეზი ის გახლავთ, რომ დავით აღმაშენებელი ქართველი წმინდანია და ჩვენს სიწმინდეებს ჩვენ განსხვავებულად და განსაკუთრებულად ვიცავთ. "ეს არის უპატივცემულობა, უგულებელყოფა წმინდანებისა და ჩვენი სარწმუნოების" - ამბობენ რესპუბლიკის მოედანზე შეკრებილი მომიტინგეები. რწმენა და ღვთის სიყვარული ჩვენთან ხომ სხვაგვარად აღიქმება. მორწმუნეა ის, ვინც მარხვის დროს მხოლოდ სამარხვო ტორტებს მიირთმევს, ეკლესიის წინ პირჯვარს იწერს, ზღვის სანაპიროზე გასვლის ნებართვას მამაოსგან იღებს, ეკლესიაში შარვლით შემოსულს უკანასკნელი სიტყვებით კიცხავს, ისტორიული გმირის ხსენებისას პირის "მარგანცოვკიანი" წყლით გამორეცხვას ითხოვს და ა.შ. რწმენა საქართველოში ძირითადად ამგვარი ზედაპირული კანონების მორჩილებაში გამოიხატება. ერთ-ერთი ამგვარი სარწმუნოებრივი გამოვლინება დავით აღმაშენებლის ქანდაკების (ალბათ მისივე ნებართვის გარეშე) გადატანაა, ერთი პუნქტიდან მეორეში. და ეს მაშინ ხდება, როდესაც საქართველოში არა მხოლოდ ცოცხალი ადამიანების უფლებები ირღვევა, არამედ, სამწუხაროდ, სარწმუნოების ჭეშმარიტი არსიც იკარგება. პროცენტულად მრავალრიცხოვან მართლმადიდებელთა სარწმუნოებრივი სახელმძღვანელო დღეს არა სახარებაა, არამედ მომრავლებული ეკლესიების მოძღვრები, რომლებიც მათ სწორად ცხოვრებას ასწავლიან. სწორად ცხოვრება კი ძირითადად ზემოთ აღნიშნულ პუნქტებში გამოიხატება. გარდა ამისა, ვასწავლით მომავალ თაობას, რომ ლიბერალიზმი ანტიქრისტიანულ არსებობას გულისხმობს, რომ ქალი ოჯახის თავის, ანუ მამაკაცის მორჩილია და დამოუკიდებელი უფლებები არ გააჩნია, რომ ჩვენი ჭეშმარიტი მეგობარი მხოლოდ მართლმადიდებელი რუსეთია და სხვა. დღეს არავინ ფიქრობს, რომ ალმაშენებლის ისტორიაში ყველაზე ფასეული "გალობანი სინანულისა" არის და არა მისი ქანდაკება, არავინ ზრუნავს იმაზე, რომ საქართველოს კიდევ ერთხელ არ მოუხდეს მსგავსი ნაწარმოების შექმნა, რაოდენ გენიალურიც არ უნდა იყოს იგი. ჩვენ ის გვაწუხებს, სად იდგება ალმაშენებლის ქანდაკება - თბილისის შემოსასვლელში თუ ცენტრში, ამის გამო ცივ ღამესაც გავატარებთ ქუჩაში, მწველი მზის ქვეშაც დავდგებით და ასე ხმალამოღებულნი დავიცავთ ქართველ წმინდანებს.

არ მინდა ზემოთ მოტანილი ტექსტი ისე იყოს გაგებული, თითქოს ჩვენ არ გვაქვს უფლება, საკუთარი მოსაზრება გამოვთქვათ სხვადასხვა საკითხების მიმართ, იქნება ეს ქანდაკების ადგილმდებარეობა, პიონერთა სასახლის შინაარსი, ახალი შადრევანი, სახლების ფერი თუ ა.შ. ჩვენ ამის სრული უფლება გვაქვს. მაგრამ თუკი ქალაქის იერსახეზე ვზრუნავთ, მაშინ როდესაც დანგრეულია ისტორიული და უნიკალური ძეგლები (დღესაც გრძელდება ნგრევა), ჩვენ თვალწინ ამახინჯებენ და ასახიჩრებენ ქალაქს, რამდენიმე ერთეულის გარდა, ამის შესახებ არავინ საუბრობდა და მით უმეტეს, ღამეს არავინ ათენებდა მათ საყარაულოდ. ჩვენს სარწმუნოებასაც მხოლოდ ამ სახით ვიცავთ.

ამიტომ, ერთგვაროვნად ზედაპირულია როგორც ჩვენი ხელისუფლება, რომელიც მხოლოდ შადრევნებით და სანახაობებით გვანუგეშებს, ისე ჩვენი საზოგადოებაც, რომელიც მნიშვნელოვან პროტესტს ალმაშენებლის ცხენის გენიტალიების ადგილმდებარეობაზე გამოხატავს. ასეთ დროს არის საზოგადოება სანიმუშოდ აქტიური.

# ლაშა და ნოდარი

**ლაშა ბუღაძე:** დღეს შევეხებით ორ ძირითად თემას, რომლებიც ბოლო დროს ჩვენი საზოგადოების განსჯის საგნად იქცა: დავით აღმაშენებლის ძეგლის ქალაქის ცენტრიდან გადატანას და ქაქუცა ჩოლოყაშვილის ცხედრის საქართველოში გადმოსვენებას. ამ თემებზე სასაუბროდ მოვიწვიეთ პუბლიცისტი და თეოლოგი ნოდარ ლადარია.

**ნოდარ ლადარია:** დავით აღმაშენებლის ძეგლის თბილისის ცენტრიდან გადატანის საკითხმა პირადად ჩემზე ნაკლებად იმოქმედა. თუმცა, არსებობს თვალსაზრისი, რომ ხალხი ამ მოვლენამ ძალიან ააღელვა. არ მიმაჩნია, რომ ამ საკითხზე ასეთი აჟიოტაჟი უნდა ატეხილიყო. არადა, სწორედ იგივე საზოგადოება ამ ძეგლს საკმაოდ ირონიულად იხსენიებდა და მას ხან თემურ წიკლაურს ადარებდნენ, ხან თავად ძეგლის ავტორს. იმასაც ამბობდნენ, რომ აღმაშენებელი სასტუმრო "ივერიის" შვეიცარად დადგესო.

**ლაშა ბუღაძე:** ამავდროულად, ეს აჟიოტაჟი ატეხილია არა კონკრეტულად ქალაქიდან ძეგლის გადატანასთან დაკავშირებით, არამედ იმის გამო, რომ საზოგადოებამ მიიჩნია: თბილისიდან თავად დავით აღმაშენებელს აძევებენ. იგივე საზოგადოება დავით აღმაშენებლის შესახებ ჯერ გადაუღებულ ფილმსაც ასეთი განწყობით შეხვდა, მისი ავტორები უკვე გალანძღეს კიდეც.

**ნოდარ ლადარია:** გაიხსენეთ, როგორი განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია კანონმა გვარების შეცვლის შესახებ. დარწმუნებული ვარ, მსგავსი რამ არ მოხდება ეკონომიკური ან პოლიტიკური კანონების მიღებისას. გვარების შეცვლის შემთხვევაში კი ყველამ კომპეტენტურად მიიჩნია თავი. ასეთ დროს ყველა თეოლოგი აღმოჩნდება ხოლმე და მიიჩნევს, რომ ყველაზე კარგად იცის, სად უნდა იდგეს დავით აღმაშენებლის ძეგლი. რაც შეეხება ქაქუცა ჩოლოყაშვილის გადმოსვენებას. ეს არის ადამიანი, რომელსაც ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი ბიოგრაფია აქვს. ადგილი, სადაც ახლა განისვენებს, მისი ბიოგრაფიის ნაწილია. დავფიქრდეთ: თუ მის ნეშტს გადმოვასვენებთ, ამით მის ბიოგრაფიას ხომ არაფერს დავაკლებთ? ვფიქრობ, ამით მის ბიოგრაფიაში ყველაზე ტრაგიკული ეპიზოდი - უცხო ქვეყნის მიწაზე დასაფლავება - წაიშლება. დაახლოებით ანალოგიური სურათია დავით გურამიშვილის შემთხვევაშიც. მირგოროდში დაკრძალული დავით გურამიშვილი უფრო ახლოა ჩემთვის, ვიდრე მთაწმინდაზე დაკრძალული. მოდით, ეს ფაქტორი შევინარჩუნოთ.

**მსმენელი:** დავით გურამიშვილი "დავითიანში" წერს, რომ ზედაზენზე სურს დაკრძალვა და იმ ტექსტსაც მიუთითებს, რაც მისი საფლავის ქვაზე უნდა დაიწეროს.

**ლაშა ბუღაძე:** ალბათ, ესეც გასათვალისწინებელია. საინტერესოა, რაში სჭირდება საზოგადოებას მსგავსი ცერემონიალების ჩატარება, ამ ტიპის ანდერძების შესრულება? შეიძლება ითქვას, რომ ამ რიტუალის ჩატარების შემდეგ საზოგადოება მშვიდდება?

**ნოდარ ლადარია:** ამით საზოგადოება კი არ მშვიდდება, უბრალოდ, ამ საქმით კავდება და ენერგიას ხარჯავს. ეს თემა იკავებს მედიასივრცესაც, ამის შესახებ გამუდმებით ვსაუბრობთ და უფრო საინტერესო თემები გვავიწყდება. ასეთ დროს საზოგადოების მართვა უფრო ადვილია. გარდა ამისა, აღშფოთებული ხალხის ხმა სხვა ხმებს ახშობს. მაგალითად, არ ისმის გასროლის ხმა. არ ვგულისმობ, რომ ვინმეს ხვრეტენ, უბრალოდ, ხომ შეიძლება, რომ რომელიმე ჩინოვნიკი ამ დროს ნაკრძალში ნადირობს. არადა, ჩვენთვის გაცილებით საინტერესო და საგანგაშოა, თუ ვინმე ნაკრძალში ნადირობს.

**ლაშა ბუღაძე:** რელიგიურად რამდენად დასაშვებია ნეშტის გადმოსვენება?

**ნოდარ ლადარია:** ეს არ იკრძალება, პირიქით, სხვადასხვა ქრისტიანულ ქვეყანაში წმინდანების საფლავებს რელიგიურ დღესასწაულებზე ხშირად ხსნიან.

**მსმენელი:** ერთ დროს ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტიც გადმოასვენეს და ამ მხრივ პრობლემა არ ყოფილა.

**ნოდარ ლადარია:** მე არ მითქვამს, რომ მიცვალებულის გადმოსვენება რამე პრობლემასთან არის დაკავშირებული. უბრალოდ, ჯობს უფრო კარგად დავფიქრდეთ.

**ლაშა ბუღაძე:** ჩვენ დაგვიკავშირდა კულტურის მინისტრის მოადგილე თამარ ქვარიანი.

**თამარ ქვარიანი:** ქაქუცა ჩოლოყაშვილის გადმოსვენების შესახებ ინიციატივა პრეზიდენტისგან შემოვიდა, რომელიც სპეციალურმა კომისიამ დადებითად გადაწყვიტა. ეს პროცედურა იგეგმება 22-23 ნოემბრისთვის. ჩოლოყაშვილის ნეშტს დაასვენებენ სამების ტაძარში, შემდეგ კი მთაწმინდის პანთეონში დაკრძალავენ. გარდა ამისა, კომისიამ მხარი დაუჭირა იმას, რომ მთაწმინდის პანთეონში რეპრესირებული ხელოვანების სიმბოლური საფლავი გაკეთდეს.

**ლაშა ბუღაძე:** პრეზიდენტს მშვენივრად მოუფიქრებია - 23 ნოემბერი ამ მოვლენითაც გალამაზდება!

**ნოდარ ლადარია:** პირადად მე სიმბოლური საფლავის გაკეთებას უფრო დავუჭერდი მხარს. შესაძლოა, იმიტომაც, რომ მათი "ჩამშვებების" შვილები ჯერ კიდევ ცოცხლები არიან. დროა, პატივი მივაგოთ ამ ადამიანების ხსოვნასაც. ალბათ ჯობს, ეკატერინე ჯუღაშვილის საფლავის ადგილას მათი სიმბოლური საფლავი გაკეთდეს.

**ლაშა ბუღაძე:** თუმცა, ეკატერინე ჯუღაშვილის საფლავიც ერთგვარი ისტორიაა. თქვენ წლების განმავლობაში ცხოვრობდით იტალიაში. იქაურ საზოგადოებას რამდენად აინტერესებს მსგავსი თემები?

**ნოდარ ლადარია:** იქ ერთხანს საკმაოდ ხმაურიანად ბჭობდნენ, შეეშვათ თუ არა იტალიის ტერიტორიაზე ქვეყნის მეფე და მისი ოჯახის წევრები. შემდეგ გადაწყდა, რომ ამით ფაშიზმის მსხვერპლს შეურაცხყოფდნენ და საკითხი ასე დასრულდა. მე არ ვარ ამგვარი განხილვების წინააღმდეგი, უბრალოდ, მიმაჩნია, რომ ამ თემამ ჩვენს ცხოვრებაში ზედმეტად დიდი ადგილი არ უნდა დაიკავოს. სამწუხაროა, რომ ჩვენი საზოგადოება ბევრ უფრო საჭირო საკითხზე არ მსჯელობს.




# კავკასიის X საერთაშორისო როკ-ფესტივალი

22 ოქტომბერს სტარტი აიღო კავკასიის როკ-ფესტივალმა "რთველი", რომელიც ლადო ბურდულის მიერაა ორგანიზებული და წელს მეათედ ტარდება. ტრადიციისამებრ, გთავაზობთ ბლიცინტერვიუებს ადამიანებთან, ვინც თავს ამ ფესტივალის მეგობრად მიიჩნევს. ამჯერად ჩვენი სტუმარია საქართველოში **შვეიცარიის ელჩის მოადგილე ნიკულინ იეგერი.** იგი "რთველის" ხშირი სტუმარია და ამ ფესტივალის ისტორიაში ბევრ ჩვენს თანამემამულეზე უკეთ ერკვევა.

**- თქვენ ხშირად გხედავენ "რთველის" კონცერტებზე. როგორ აფასებთ ამ ფესტივალის მნიშვნელობას?**

- საქართველოში მცხოვრები უცხოელები, განსაკუთრებით, დიპლომატები, მივესალმებით ამ ფესტივალს, რადგან მიგვაჩნია, რომ ამ სახით სხვადასხვა ქვეყნებს შორის კულტურული გაცვლა ხდება. ეს კი ურთიერთობისთვის აუცილებელი პირობაა. ამ ფესტივალზე ძირითადად ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ჯგუფები მონაწილეობენ, რაც ამ რეგიონის ერთ-ერთი შემაკავშირებელი ფაქტორია. ეს საინტერესოა იმ მხრივაც, რომ ევროპისთვის უცნობია, როგორ მუსიკას ასრულებენ ამ ქვეყნებში. "რთველი" კი ამ მხრივ გარკვეულ ინფორმაციასაც იძლევა. ფესტივალის მნიშვნელობა იმ მხრივაც დიდია, რომ ამ რეგიონში ფოლკლორს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, ალტერნატიული მუსიკის პროპაგანდა კი იშვიათად ხდება.

**- შარშანდელ ფესტივალზე პირველად გამოჩნდა შვეიცარიული კოლექტივი...**

- ეს იყო ჯგუფი Stemboat Switzerlad, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა, ამიტომ წელსაც სიამოვნებით მონაწილეობენ საფესტივალო პროგრამაში. ამ ჯგუფმა შაბათს, ფესტივალის გახსნაზე უკვე ჩაატარა კონცერტი. ჯგუფის წევრებს საკონსერვატორიო განათლება აქვთ, თუმცა, საკმაოდ მძიმე მუსიკას უკრავენ. ისინი არც ფრი-ჯაზისა და როკ-ენ-როლის შესრულებას ერიდებიან, რაც, საერთო ჯამში, საკმაოდ საინტერესო ჰიბრიდს ქმნის.

**- რამდენად კარგად იცნობთ ქართველი როკ-მუსიკოსების შემოქმედებას?**

- ჩემთვის ქართული როკი, ცხადია, ლადო ბურდულთან ასოცირდება. ვიცი, რომ მის მუსიკაზე ბევრი თაობა აღიზარდა, რომლებიც ახლა მის მიერ ორგანიზებულ ფესტივალზე გამოდიან. გარდა ამისა, კარგად ვიცნობ რეპისა და ჰიპ-ჰოპის ქართველი შემსრულებლების შემოქმედებას.

**- თავად თუ უკრავთ რამე ინსტრუმენტზე და რა სტილის მუსიკას ამჯობინებთ?**

- სამწუხაროდ, არც ერთ ინსტრუმენტზე არ ვუკრავ, თუმცა, საკმაოდ კარგი მსმენელი ვარ. ჩემს მუსიკალურ გემოვნებაზე საუბარი შორს წაგვიყვანს, გააჩნია, როგორ გუნებაზე ვარ.

ყურადღება!
რესტორანი
"დაკარგული სამოთხე"
რუსთაველზე (კინოს სახლში) 12-დან 18 საათამდე გთავაზობთ სადილის მენიუს, სადაც ყოველი კერძის ფასი 3 ლარია. სამზარეულოში ყოველი 15 ლარის შეკვეთაზე მოგართმევენ 0,5 ლ ღვინოს (რქაწითელი) უფასოდ. გპირდებით კერძების ფართო არჩევანს და შესანიშნავ გარემოს.
ტელ. 999-207

# ნინო კირთაძის ევროპული აღიარება



**ოფიციალური ცნობა**: ევროპის დოკუმენტური კინოს აკადემია სიამაყით აცხადებს, რომ 2005 წლის მთავარი ჯილდო "არტეს პრიზი" გადაეცემა ნინო კირთაძის ფილმს The Pipeline Next Door-ს.

ევროპის კინოაკადემია ევროპის კულტურის ტელეარხ "არტესთან" ერთად ყოველწლიურად აჯილდოებს დოკუმენტური კინოს საუკეთესო ნამუშევრებს. წელს ჟიურის წევრები არიან: ნაომი შორი ისრაელიდან (პროდიუსერი, რეჟისორი, სემ შპიგელის სახელობის ფილმისა და ტელევიზიის სკოლის დირექტორი იერუსალიმში), ჟაკ ლორენი ბელგიიდან (პროდიუსერი), ალესანდრო სიგნეტო იტალიიდან (იტალიის დოკუმენტალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი). 21-დან 23 ოქტომბრამდე მათ ნახეს 11 ნომინირებული ფილმი ბერლინის კინოთეატრ "არსენალში" და არჩევანიც გააკეთეს.

ჟიური გადაწყვეტილებას ასე ხსნის: ფილმის ავტორი ნინო კირთაძე მეტად ოსტატურად და კინემატოგრაფიულად ყვება თანამედროვე ამბავს, პატარა სოფლის ტრაგიკომიკურ ისტორიას, რომელსაც გლობალური მოთამაშე BP ემუქრება. აქ კარგად არის ასახული სოფლის ცხოვრების სურათი, მათი სასოწარკვეთა, სისუსტე, კომპლექსები. ფილმი ეხება კულტურათა დაპირისპირებას, ბრძოლას გლობალურ დაწესებულებასა და სოფლის მოსახლეობას შორის. ფილმი მეტად ემოციურია, თუმცა, სანტიმენტალობის გარეშე.

პრიზის გადაცემის ცერემონიალი გაიმართება ბერლინში 3 დეკემბერს.

